წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს: მოქალ. თ. ჩიქვანაიამ და დ. კასრაძემ განიზრახეს გამოცემა ჩემი შრომისა „ქართული ლიტერატურის ისტორია", რისთვისაც გაუმართნიათ წინასწარი ხელისმოწერა. ხელისმომწერთაგან მე ხშირად შომდის შეკითხვები: როდის გამოვა წიგნი და რა პირობებში ‹ქნებიან ისინი დაკმაყოფილებულნი. ამით ვაცხადებ, რომ არავითარი კავშირი გამოცემის საქმესთან მე არა მაქვს და ამიტომ არც პირობები ვიცი ბისი; შემიძლია ვაუწყო დაინტერესებულ პირთ მხოლოდ ის, რომ დასაბეჭდად განმზადებული შრომა უკვე ჩაბარებული აქვთ გამომცემლებს და მეორე ტომის პირველი ნახევარი უკვე დაბეჭდილია.

პატივისცემით პროფ.

კ. კეკელიძე.

29 ოქტ. 1924 წ.